ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა

ქალაქ თბილისის კრწანისის რაიონში, ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი 19.03.2015 წ.

გიორგი კოპალეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

არჩილ ჩარგეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა დარგში, საკონკურსო კომისიის წევრი.

დავით ხერხეულიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

მერი დევდარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

თამარ გეგია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის აპარატის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე კონკურსის გამოსაცხადებლად, საკონკურსო განცხადებისა და ტექნიკური დავალების მომზადებისათვის სპეციალისტების მოწვევის შესახებ.

კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის წევრის, არჩილ ჩარგეიშვილის გამოსვლა, რომელიც სხდომის წინაშე გამოვიდა წინადადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე კონკურსის გამოსაცხადებლად მოწვეულ იქნეს სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავებენ საკონკურსო განაცხადს შესაბამისი თანდართული დოკუმენტებით.

საკუნკურსო განაცხადის მოსამზადებლად ექსპერტთა ჯგუფის გამოყოფა ეთხოვოს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“. ამასთან, საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს უზრუნველყოს სპეციალისტთა ჯგუფისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

კომისიამ დაადგინა:

1. ეთხოვოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ნარიყალას ციხესიმაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე კონკურსის გამოსაცხადებლად საკონკურსო დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოავლინოს სპეციალისტთა ჯგუფი.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს უზრუნველყოს სპეციალისტთა ჯგუფის მოწვევის თაობაზე განცხადების წარდგენა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქუჩა N5.

კომისიის თავმჯდომარე		**/გიორგი კოპალეიშვილი/**
კომისიის წევრი		**/არჩილ ჩარგეიშვილი/**
კომისიის წევრი		**/დავით ხერხეულიძე/**
კომისიის აპარატის წევრი		**/მერი დევდარიანი/**
კომისიის აპარატის წევრი		**/თამარ გეგია/**